პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №

30 ივლისი, 2025 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა და საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63–ე მუხლის საფუძველზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს:**

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა და საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №23 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 23.01.2018, №90020020.35.123.016426), კერძოდ, შეიცვალოს დადგენილების №2 დანართი და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

(№2 დანართი წინამდებარე დადგენილებას თან ერთვის)

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2025 წლის პირველი აგვისტოდან.

საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ც.პატარიძე

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2025 წლის 30 ივლისის
№ დადგენილების დანართი № 2

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა ნუსხის შესახებ

მუხლი 1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულია 1 პირი - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საკრებულოს აპარატის უფროსი - თანამდებობრივი სარგოს ოდენობა 3358 ლარი.

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული საჯარო მოსამსახურეები

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულია 12 მოსამსახურე. მათ შორის:

ა) საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე – 1 ერთეული;

ბ) საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანაშემწე – 1 ერთეული;

გ) საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანაშემწე – 2 ერთეული;

დ) მოწვეული სპეციალისტი - 6 ერთეული;

ე) სპეციალისტი (პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი) – 1 ერთეული;

ვ) დამხმარე მოსამსახურე – 1 ერთეული.

ც.პატარიძე
საკრებულოს აპარატის მოვალეობის
შემსრულებელი

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა და საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით

1. **ზოგადი ინფორმაცია:**

2025 წლის 26 ივნისს, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცვლილება განიცადა ამ კანონის მე-3 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტმა, მე-4 მუხლის მე-5 პუნქტმა. ამოღებულ იქნა 78-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი. კანონს დაემატა თავი IX² (**მრჩეველი საჯარო სამსახურში**). კანონში განხორციელებული ცვლილება ეხება ახალ მიდგომებს მრჩევლის სტატუსთან დაკავშირებით. საკრებულოს აპარატში არსებული მრჩევლის საშტატო ერთეულების საქმიანობისა და მათი ანაზღაურების წესი შეუსაბამოა კანონში განხორციელებულ ცვლილებასთან. გამომდინარე აქედან, მიზანშეწონილია, საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხიდან საკრებულოს თავმჯდომარის მრჩევლის ორი ერთეულის ამოღება.

2. **პროექტის მიღების მიზანი:**

პროექტის მიღების მიზანია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №23 დადგენილების „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობაში მოყვანა.

3. **დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგები:**

წინამდებარე დადგენილების მიღებით, საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხაში ორი ერთეულით შემცირდება შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული საჯარო მოსამსახურეთა რიცხვი, რითაც გარკვეული ოდენობით შემცირდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკრებულოს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების ხარჯების მოცულობა.

4. **დადგენილების პროექტის გავლენა ადგილობრივ ბიუჯეტზე:**

წინამდებარე დადგენილების მიღებით გარკვეულწილად დაიზოგება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯები.

5. **დადგენილების პროექტის ინიციატორი:**

დადგენილების პროექტის ინიციატორია საკრებულოს თავმჯდომარე, ირაკლი შენგელია.

6. **დადგენილების პროექტის ავტორი:**

დადგენილების პროექტი შედგენილია საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის-სამდივნო განყოფილების უფროსის, საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, ცაგური პატარიძის მიერ.

7. საკრებულოს სხდომაზე დადგენილების პროექტის წარმომდგენი:

საკრებულოს სხდომაზე დადგენილების პროექტს წარმოადგენს საკრებულოს თავმჯდომარე, ირაკლი შენგელია.

ც.პატარიძე
საკრებულოს აპარატის მოვალეობის
შემსრულებელი